პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 32-ე წელი

კვირა, 6 აპრილი, 1952 წ. № 83 (9248). ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინმა მიიღო ინდოეთის ელჩი ბ-ნი ს. რადხაკრიშნანი (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 5 აპრილის სხდომის შესახებ (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ გ. პ. ზედგინიძის მოხსენება (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის კ. სოხაძის მოხსენება (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა საელჩოს პასუხი სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტაზე (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვიტა კუბის მთავრობასთან (მე-2 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხზე ამერიკულ გაზეთების რედაქტორთა ჯგუფისადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. სურათზე: თავმჯდომარის მაგიდასთან სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები ვ. ხარაზია, მ. ლელაშვილი, ნ. ნიჟარაძე; ლოჟებში — ამხანაგები ა. არზუმანიანი, დ. დავითაძე, მ. პლიევა, მ. დელბა, ბ. ლომიძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ზ. კეცხოველი, ნ. რუხაძე, ვ. ბაქრაძე, მ. ჩუბინიძე, ს. იშხანოვი, ვ. კუპრაძე, კ. ციმაკურიძე; ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. კ. სოხაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

# საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი

გუშინ გაიხსნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. სესიამ მიიღო დღის წესრიგი და მოისმინა მოხსენება საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1951 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მოსმენილ იქნა აგრეთვე საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი შეუნელებლად ზრუნავენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებისათვის, საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ერების შემდგომი აყვავებისათვის. მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში სხვა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ვითარდება და ახალ წარმატებებს აღწევს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

წარმატებით შესრულდა რა ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა, 1951 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ ახალი ნაბიჯი გადადგა წინ მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, გასულ წელს საქართველოში გაწეულ იქნა დიდი მუშაობა ახალმშენებლობათა ხაზით. მოქმედ საწარმოთა რიგში ჩადგა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გაიხსნა სამგორის ზემო მაგისტრალური არხი და თბილისის წყალსაცავი, ქვეყანას პირველი ქსოვილი მისცა გორის ბამბეულის კომბინატმა, აშენდა მთელი რიგი სხვა ახალი საწარმოები. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მშენებლობის ხაზით.

საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემოსავლის ნაწილში შეადგენს 2.801.111 ათას მანეთს, რაც გეგმის 104,5 პროცენტს უდრის. გასული წლის ბიუჯეტით უზრუნველყოფილ იქნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შეუფერხებელი დაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას, აგრეთვე სოციალურ-კულტურული მშენებლობის ღონისძიებათა გატარებას და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის კიდევ უფრო ამაღლებას. ამ დარგში გასულ წელს დახარჯულია 1.629.258 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის მთელი მოცულობის 61,3 პროცენტი; განათლების ღონისძიებათა დასაფინანსებლად შარშან დაიხარჯა 1.041.078 ათასი მანეთი და ჯანმრთელობის დაცვის დასაფინანსებლად — 419.737 ათასი მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის გასული წლის ბიუჯეტის შესრულებაში მოპოვებული წარმატებანი დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საერთო წარმატებებთან, რაც იმის შედეგია, რომ საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობასა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის განუწყვეტლივ ზრუნავენ ლენინ-სტალინის დიადი პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1952 წლის ბიუჯეტი შედგენილია საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის სრული შესაბამისობით და უზრუნველყოფს მასში გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსებას. **მიმდინარე წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობა გათვალისწინებულია შემოსავლის ნაწილში 2.793.378 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 2.747.417 ათასი მანეთის ოდენობით. ამასთან შემოსავალი 45.961 ათასი მანეთით აღემატება გასავალს.** 1952 წლის ბიუჯეტი მოწოდებულია უზრუნველყოს საფინანსო რესურსებით რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა და მშრომელი მასების კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლება.

სესიისათვის წარმოდგენილი ბიუჯეტის თანახმად, **გასავლის საერთო მოცულობის 90,9 პროცენტი მოხმარდება სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას.** ამაში ნათლად მოჩანს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, ის, რომ საბჭოთა ხალხი წინააღმდეგია ახალი ომისა და მთელ თავის ძალებს წარმართავს მშვიდობიანი შემოქმედებითი მშენებლობისაკენ, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისაკენ, მშრომელთა კეთილდღეობის დონის განუხრელი ამაღლებისაკენ.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ამაღლებისათვის ზრუნვა ყოველთვის იყო და არის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ძირითადი ამოცანა. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირება. ფასების ახალი, სათვალავით მეხუთე, შემცირება კიდევ უფრო ამაღლებს მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონეს, უფრო სასიხარულოს ხდის საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

საქართველოს სსრ მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტით მარტო სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 1.689.932 ათასი მანეთი, აქედან სახალხო განათლებისათვის გათვალისწინებულია 1.065.603 ათასი მანეთის დახარჯვა. ამასთან ერთად დიდდება ასიგნებანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის. დიდი თანხებია გათვალისწინებული უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის, ჯანმრთელობის დაცვის, ახალი კურორტების აშენებისა და არსებულის კეთილმოწყობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიისათვის წარდგენილი ბიუჯეტის შესრულება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ყველა სამეურნეო ორგანიზაციის, საწარმოს და დაწესებულების მუშაობა პირდაპირ არის დაკავშირებული რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის მობილიზაციასა და სახელმწიფო თანხების ხარჯვასთან, მათი ამოცანაა უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ შინარესურსების გამოვლინებისა და მობილიზაციისათვის, პროდუქციის გამოშვებისა და სახელმწიფო საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა დროზე და მთლიანად იქნას მობილიზებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და განხორციელდეს მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი მატერიალური და ფულადი სახსრების გამოყენებაში.

საქართველოს 1952 წლის ბიუჯეტის შესრულება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოო ძალთა შემდგომ აღმავლობას და კულტურის გაფურჩქვნას.

ეჭვი არ არის, ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საქართველოს მშრომელები ახალ წარმატებებს მიაღწევენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

## ი. ბ. სტალინმა მიიღო ინდოეთის ელჩი ბ-ნი ს. რადხაკრიშნანი

5 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ინდოეთის ელჩი ბ-ნი ს. რადხაკრიშნანი. მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 5 აპრილის სხდომის შესახებ

გუშინ, 5 აპრილს, საღამოს 8 საათზე თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. მ. ლელაშვილმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **გ. პ. ზედგინიძის** მოხსენება საზანოს № 194 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლადარჩეული დეპუტატის რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ დეპუტატ **გ. ნ. მირიანაშვილის** წინადადებით მიიღო შემდეგი დადგენილება სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება.

2. სწორად იქნას ცნობილი საზანოს № 194 საარჩევნო ოლქში 1951 წლის 10 ივნისს არჩეული დეპუტატის პარმენ გაბრიელის-ძე გუჯაბიძის რწმუნებანი".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. მ. ლელაშვილი** აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

4. საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დეპუტატ **მ. კ. მაღრაძის** წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეს საკითხები ერთხმად შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

დეპუტატ **ვ. კ. ბალავაძის** წინადადებით დამტკიცდა სესიის მუშაობის რეგლამენტი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ **რ. ა. კვირკველიას**, რომელიც გამოვიდა თბილისისა და ქუთაისის ოლქების, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეპუტატთა ჯგუფის დავალებით.

სესიამ დეპუტატი ვასილ ბარნაბის-ძე **გოგუა** გაათავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი ზაქარია ნიკოლოზის-ძე **ჩხუბიანიშვილი** და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

იმის გამო, რომ მ. ი. ბარამიამ ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა და მიცემულია სისხლისსამართლის პასუხისგებაში, სესიამ იგი გამოიყვანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.

სესიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა დეპუტატი კანდიდ ნესტორის-ძე **ჩარკვიანი** რესპუბლიკის ფარგლებიდან მისი წასვლის გამო.

სესიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ერთხმად აირჩია დეპუტატი ვლადიმერ გედევანის-ძე **ცხოვრებაშვილი.**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დეპუტატ **ბ. ე. ლომიძეს**, რომელიც გამოვიდა თბილისისა და ქუთაისის ოლქების, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეპუტატთა ჯგუფის დავალებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ დეპუტატ ზაქარია ნიკოლოზის-ძე **ჩხუბიანიშვილის** არჩევის გამო სესიამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად დაამტკიცა დეპუტატი ზაქარია ნიკოლოზის-ძე **კეცხოველი** და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ სესიამ დაამტკიცა დეპუტატი ვალერიან მინას-ძე **ბაქრაძე** და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად სესიამ დაამტკიცა დეპუტატი ილია ანდრიას-ძე **წიკლაური.**

სესიამ დეპუტატი კონსტანტინე მიხეილის-ძე **თარგამაძე** გაათავისუფლა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად სესიამ დაამტკიცა ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **სუხიაშვილი.**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად სესიამ დაამტკიცა დეპუტატი ვახტანგ ალექსანდრეს-ძე **ლოლაძე.**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დეპუტატ **ზ. ვ. კიკნაძეს**, რომელიც გამოვიდა ქუთაისისა და თბილისის ოლქების დეპუტატთა ჯგუფის დავალებით.

იმის გამო, რომ ვ. ი. შონიამ და გ. დ. ჩაჩიბაიამ ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა და მიცემული არიან

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

## საინფორმაციო ცნობა
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 5 აპრილის სხდომის შესახებ

(დასასრული)

სისხლის სამართლის პასუხისგებაში, სესიამ გამოიყვანა შონია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის შემადგენლობიდან, ხოლო ჩაჩიბაია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრად სესიამ აირჩია დეპუტატი მიხეილ ყარამანის-ძე **ლომიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრად სესიამ აირჩია დეპუტატი შოთა მიხეილის-ძე **თათარაშვილი**.

შემდეგ საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებისათვის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს ამხ. ქ. გ. **სოხაძეს**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ა. **გიგოშვილმა**.

შემდეგ სესია შეუდგა საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების განხილვას.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი ა. ე. **მელაძე** (ქალაქ თბილისის საქარხნო ოლქი), დეპუტატი ბ. ე. **ლომიძე** (ქალაქ ქუთაისის მოლოტოვის ოლქი), დეპუტატი ა. ი. **ქანდარია** (ქალაქ სოხუმის ბერიას ოლქი).

ამით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა დაიხურა.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ გ. პ. ზედგინიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შემდეგ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 99-ე მუხლის შესაბამისად მოხდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები ერთ საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად.

არჩევნები მოხდა 1951 წლის 10 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საზანოს № 194 ოლქში. არჩევნები მოეწყო საარჩევნო ოლქის იმ ფარგლებში, რომლებიც დაწესებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1951 წლის 18 თებერვლის საერთო არჩევნების დროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საზანოს № 194 ოლქში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 42-ე მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობდა არჩევნებს.

საზანოს № 194 საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4.863 ამომრჩეველმა, რაც ამ ოლქის ამომრჩეველთა 100 პროცენტს შეადგენს. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატს ხმა მისცა 4.863 ამომრჩეველმა ანუ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 100 პროცენტმა.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე არჩეულმა სამანდატო კომისიამ შეამოწმა საზანოს № 194 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო დოკუმენტები და მასალები არჩეულ დეპუტატზე, განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმები დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ.

აღნიშნული მასალების შემოწმებისას კომისია დარწმუნდა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევა საზანოს № 194 ოლქში მომხდარა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

ამის გამო სამანდატო კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, რომელსაც დასამტკიცებლად უდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს:

„სამანდატო კომისიამ შეამოწმა მთელი საარჩევნო დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საზანოს № 194 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, და დაადგინა:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები საზანოს № 194 საარჩევნო ოლქში მოხდა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი არ არის არჩევნების გაუქმებისა, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება არ არის საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია სწორად სცნობს საზანოს № 194 საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატის პარმენ გაბრიელის-ძე გუჯაბიძის რწმუნებებს".

## ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა საელჩოს პასუხი სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტაზე

1951 წლის 26 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სსრ კავშირის საელჩოს ვაშინგტონში აცნობა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოღებულია ახალი წესები, რომლებიც ითვალისწინებენ შეერთებულ შტატებში მუდმივად მცხოვრები უცხოელი მოქალაქეების გაწვევას ამერიკის შეიარაღებულ ძალებში. ა. წ. 23 თებერვალს საბჭოთა საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც, შეეხო რა საბჭოთა მოქალაქეებზე ამ წესების გავრცელების საკითხს, მიუთითა, რომ უცხოელ მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევის ასეთი წესები ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო ჩვევებსა და საერთაშორისო სამართლისა და ნაცვალგების პრინციპებს. რამდენადაც სახელმწიფო დეპარტამენტმა სსრ კავშირის საელჩოსადმი თავის 13 მარტის ნოტაში სცადა უარეყო, რომ აღნიშნული წესები ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ა. წ. 2 აპრილს სსრ კავშირის საელჩომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„სახელმწიფო დეპარტამენტის 1952 წლის 13 მარტის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩოს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ აღნიშნული ნოტის მტკიცება, თითქოს სხვა სახელმწიფოების იმ მოქალაქეთა იძულებითი გაწვევა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ცხოვრობენ, არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართალს, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

საელჩო ადასტურებს მის ა. წ. 23 თებერვლის ნოტაში ჩამოყალიბებულ პოზიციას და საჭიროდ მიაჩნია კვლავ განაცხადოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების 1948 წლის კანონის წესების შეცვლა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამსახურში უცხოელთა იძულებით გაწვევას, უხეშად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს". (ტასსი).

## საბჭოთა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვიტა კუბის მთავრობასთან

1952 წლის 21 მარტს კუბის ხელისუფლებმა უხეშად დაარღვიეს რა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებული ნორმები, აუკრძალეს კუბაში შესვლა საბჭოთა დიპლომატიურ შიკრიკებს, რომლებსაც დიპლომატიური ფოსტა მიჰქონდათ სსრ კავშირის მისიისათვის ჰავანაში. სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულს კუბაში კუბის ხელისუფლებმა კუბის მთავრობის დასტურით და მითითებით საშუალება არ მისცეს შეხვედროდა აეროდრომზე ჩამოსულ დიპლომატიურ შიკრიკებს, ხოლო დიპლომატიურ შიკრიკებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ კუბაში ჩასვლის ვიზები ჰქონდათ, წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ კუბა.

ა. წ. 3 აპრილს სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა კუბაში ამხ. ფომინმა ინახულა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და, საბჭოთა მთავრობის დავალებით, გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„სსრ კავშირის მისიას კუბაში, საბჭოთა მთავრობის დავალებით, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

რადგან კუბის მთავრობამ ა. წ. 21 მარტს ნება არ დართო საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ შიკრიკებს შესულიყვნენ კუბაში და ამრიგად სსრ კავშირის მისიას კუბაში მოუსპო ნორმალური დიპლომატიური კავშირი სსრ კავშირის მთავრობასთან, რითაც დაარღვია საყოველთაოდ მიღებული დიპლომატიური ნორმები, საბჭოთა მთავრობა უკან იწვევს სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულს კუბაში და წყვეტს ურთიერთობას კუბის მთავრობასთან".

## საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ
### საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ქ. სოხაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

მიმდინარე წლის 8 მარტს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალი, 1952 წლის, სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ფულადი სახსრებით იმ უდიდეს ღონისძიებათა განხორციელებას, რაც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის დარგში.

1952 წლის ბიუჯეტში ახსნილი ციფრები ცხადყოფენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მთელ სიდიადეს, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განუხრელ განმტკიცებას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი მშვიდობიანი მშენებლობის ბიუჯეტია. იგი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ურყევ მისწრაფებას — იბრძოლონ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის დიადი მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ახალი მკაფიო გამოხატულებაა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის მაჩვენებელია.

ხალხთა გენიალურმა ბელადმა დიდმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვცეს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარი შემთხვევითობისაგან".

დიდი ბელადის გამოსვლის შემდეგ განვლილმა წლებმა ნათელყო, თუ რა დაუშრეტელი ენერგიით ახორციელებს საბჭოთა ხალხი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ბრძნულ სტალინურ პროგრამას.

ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ხანში აღადგინა თავისი სახალხო მეურნეობა, გადააჭარბა მის ომამდელ დონეს და უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებას.

1951 წელს საბჭოთა ხალხმა ახალ, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია იმ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა.

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წელს წინა წელთან შედარებით 16 პროცენტით გადიდდა, რის შედეგად ჩვენმა სახალხო მეურნეობამ გეგმის ზევით მნიშვნელოვნად მეტი ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია და მოწყობილობა მიიღო. ერთიორად და უფრო მეტად არის გადაჭარბებული ომამდელი 1940 წლის დონე.

ახალ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 1951 წელს 7 მილიარდ 400 მილიონი ფუთი შეადგინა.

მარცვლეულის პრობლემის წარმატებით გადაჭრის საფუძველზე ახალ აღმავლობას მიაღწია საზოგადოებრივმა მეცხოველეობამ.

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1951 წელს 12 პროცენტით გადიდდა შესადარ ფასებში წინა წელთან შედარებით, რამაც უზრუნველყო მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული დიდი მიღწევების შედეგად, ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის მთავრობამ ხუთჯერ განახორციელა მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების შემცირება. ფასების ახალი—სათვალავით მეხუთე—შემცირებით, რაც 1952 წლის 1 აპრილიდან განხორციელდა, კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარი, გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და გლეხთა შემოსავალი. მიმდინარე წლის 1 აპრილიდან სასურსათო საქონლის ფასების შემცირება კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების დონეს.

სულ სხვა პირობებში ცხოვრობენ ასეულ მილიონობით მშრომელნი კაპიტალის ქვეყნებში. იქ მშრომელები სულ უფრო ღატაკდებიან და ჩანავდებიან, განუწყვეტლივ ქვეითდება მათი ცხოვრების დონე, მცირდება რეალური ხელფასი და იზრდება უმუშევრობა.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიულმა ჯგუფებმა დაიწყეს გამალებული მზადება ახალი ომისათვის.

ისინი სამარცხვინო დამპყრობლურ ომს აწარმოებენ კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ამ ომში არ ერიდებიან უსაზიზღრესი საშუალების — ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას.

იმპერიალიზმის ძალებს, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, უპირისპირდება მშვიდობის მომხრეთა ბანაკი დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად გასულ წელს დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. მრავალდება ჩვენი რესპუბლიკის შრომითი გამარჯვებანი.

საქართველოს სსრ მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1951 წლის გეგმა 108 პროცენტით შეასრულა, ხოლო წინა წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 13 პროცენტით გადიდდა.

გასულ წელს ქუთაისში ამუშავდა საავტომობილო ქარხანა, რომელიც ახალი ტიპის ქართული სატვირთო ავტომობილებით ამარაგებს ჩვენი ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში. გაწეულია დიდი მუშაობა ხორბლის მოსავლის გადიდების დარგში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად.

ნათესი ფართობისა და მოსავლიანობის გადიდების შედეგად მარცვლეულის შარშანდელი მოსავალი თითქმის ერთიორად აღემატება ომამდელი 1940 წლის მოსავალს; 1951 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 2.511 ათასი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს.

ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 1951 წელს 9.843 ტონით მეტი ჩაბარდა სახელმწიფოს, ვიდრე წინა წელს, და 1940 წლის დამზადების დონეს 2,6-ჯერ გადააჭარბა.

დიდი ღონისძიებები განხორციელდა სარწყავი სისტემების მშენებლობის დარგში. 1951 წლის 4 ნოემბერს ამუშავდა სამგორის სარწყავი სისტემა.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ყველა ეს წარმატება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მოიპოვეს ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით **(ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან)**.

### საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თვალსაჩინო შედეგები მოწმობენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ძლიერების შემდგომ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუწყვეტელ ზრდას.

საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ 2.579.570 ათასი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა საფუძველზე, საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა საანგარიშო წლის პერიოდში დაზუსტდა და მისი საბოლოო თანხა განისაზღვრა — 2.680.782 ათასი მანეთით.

საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, რომლის ანგარიშიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიის დასამტკიცებლად, შემოსავლის ნაწილში შეადგენს 2.801.111 ათას მანეთს, რაც დაზუსტებული გეგმის 104,5 პროცენტს უდრის.

შემოსავლის ნაწილის გადაჭარბებით შესრულების შედეგად რესპუბლიკამ მიიღო დამატებითი სახსრები გეგმის ზევით 120.329 ათასი მანეთის ოდენობით.

1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალმა 158.138 ათასი მანეთით გადააჭარბა წინა წლის ბიუჯეტის შემოსავალს.

შარშანდელი ბიუჯეტის შემოსავლის საერთო მოცულობის 75,8 პროცენტი შეადგინა სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებულმა სახსრებმა.

გადაჭარბებით შესრულდა ბრუნვის გადასახადის შემოსვლის გეგმა.

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დაქვემდებარებული ტრესტების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმების გადაჭარბებით შესრულების შედეგად სამეურნეო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს დაგროვების გეგმები.

სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საერთო მოგების გეგმა 116,3 პროცენტით არის შესრულებული და ამის შედეგად გასული წლის ბიუჯეტში მოგების ანარიცხების სახით შემოვიდა 416.957 ათასი მანეთი, რაც 81.234 ათასი მანეთით აღემატება დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ თანხას.

გეგმის ზევით მოგების ანარიცხების ყველაზე დიდი თანხა — 44.270 ათასი მანეთი — მიიღო ბიუჯეტმა კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისაგან, კომუნალური მეურნეობის საწარმოებისაგან — 10.832 ათასი მანეთი; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და რაიონული მრეწველობის საწარმოებისაგან — 8.963 ათასი მანეთი; ტექნიკური კულტურების სამინისტროს საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან — 7.450 ათასი მანეთი. გადაჭარბებით აქვთ შესრულებული 1951 წლის ბიუჯეტში შესატანების გეგმა აგრეთვე მთელ რიგ სხვა სამინისტროთა საწარმოებს.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით მოსახლეობისაგან გადასახადის ანარიცხების სახით გასულ წელს ბიუჯეტში შემოვიდა 367.415 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 103,5 პროცენტი. ამ შემოსავლის ხვედრითი წონა ბიუჯეტის საერთო შემოსავლის მხოლოდ 13,1 პროცენტს შეადგენს.

1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შეუფერხებელი დაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას, აგრეთვე სოციალურ-კულტურული მშენებლობის ღონისძიებათა გატარებას და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის კიდევ უფრო ამაღლებას.

1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შესრულებულია 2.656.737 ათასი მანეთის ოდენობით, რაც დამტკიცებული გეგმის 103 პროცენტს შეადგენს.

ხარჯების ამ საერთო მოცულობიდან სახალხო მეურნეობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1951 წლის ბიუჯეტით წარიმართა 816.079 ათასი მანეთი, ანუ მთელი ხარჯების 30,7 პროცენტი. აქედან მრეწველობაზე — 193.797 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაზე — 326.277 ათასი მანეთი, კომუნალურ და საბინაო მეურნეობაზე — 170.456 ათასი მანეთი.

სახალხო მეურნეობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1951 წლის ბიუჯეტით დახარჯულია 127.465 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1950 წლის ბიუჯეტით.

პარტიისა და მთავრობის უდიდესი მზრუნველობის გამომხატველია 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მოცემული ციფრები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ამ დარგში გასულ წელს დახარჯულია 1.629.258 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის მთელი მოცულობის 61,3 პროცენტი; განათლების ღონისძიებათა დასაფინანსებლად შარშან დაიხარჯა 1.041.078 ათასი მანეთი და ჯანმრთელობის დაცვის დასაფინანსებლად — 419.737 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულების შედეგად შემოსავალმა 144.374 ათასი მანეთით გადააჭარბა ბიუჯეტის გასავალს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მოპოვებული წარმატებანი და მიღწევები განუყრელად დაკავშირებულია ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის საერთო წარმატებებთან, რაც წარმოადგენს იმის შედეგს, რომ სსრ კავშირის ხალხთა მტკიცე მეგობრობასა და ეროვნული რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაზე განუწყვეტლივ ზრუნავენ ჩვენი დიდი ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი სტალინი.

### საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დამტკიცებული გეგმის სრული შესაბამისობით და უზრუნველყოფს მასში გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსებას.

საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობა შემოსავლის ნაწილში განსაზღვრულია 2.793.378 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო გასავლის ნაწილი შეადგენს 2.747.417 ათას მანეთს. შემოსავალი 45.961 ათასი მანეთით აღემატება გასავალს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობიდან რესპუბლიკური ბიუჯეტით დაგეგმილია შემოსავალი — 2.441.262 ათასი მანეთი, აქედან 1.139.531 ათასი მანეთი ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გადასაცემად, ხოლო გასავალი — 1.255.770 ათასი მანეთი, რაც 8 პროცენტით აღემატება გასული წლის საერთო ხარჯების მოცულობას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შემავალი ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილია დასამტკიცებლად როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში 1.491.647 ათასი მანეთის მოცულობით.

ცალკეული ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტები განსაზღვრულია როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში შემდეგი ოდენობით:

თბილისის ოლქი — 705.342 ათასი მანეთი, აქედან ქალაქი თბილისი — 294.224 ათასი მანეთი, ქუთაისის ოლქი — 460.156 ათასი მანეთი, აფხაზეთის ასსრ — 149.381 ათასი მანეთი, აჭარის ასსრ — 116.642 ათასი მანეთი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — 60.126 ათასი მანეთი.

საქართველოს სს რესპუბლიკის ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებით გათვალისწინებული სახსრები მთლიანად უზრუნველყოფენ იმ დავალებათა შესრულებას, რომლებიც დასახულია სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის გეგმით მრეწველობის საწარმოთა ზრდის დარგში, მშენებლობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გეგმების განსახორციელებლად.

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ყველა ღონისძიების დროზე დაფინანსება ბევრად არის დამოკიდებული ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაზე. ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახალხო მეურნეობის გეგმით დასახული ყველა მაჩვენებლის შესრულებაზე როგორც სასაქონლო პროდუქციის გამოშვების და მისი რეალიზაციის დარგში, ისე მოგების გეგმის შესრულებაზე უდანაკარგო და უნაყოფო ხარჯების გაუწევლად.

საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების დახმარებით ფართოდ უნდა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, აამაღლონ პროდუქციის ხარისხი, შეამცირონ მისი თვითღირებულება და არ დაუშვან გეგმით გაუთვალისწინებელი ხარჯები.

საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან ქმედითი კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო სახსრების სწორად და მომჭირნეობით ხარჯვას; ძირშივე აღკვეთონ უკანონო ხარჯვის ყოველი ცდა და უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა სახის შემოსავლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

### საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი

ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის, ისე როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის, ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა დაგროვებიდან მიღებული შემოსავალი.

რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში ბრუნვის გადასახადის ანარიცხები შეადგენს 1.015.706 ათას მანეთს, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მოგების ანარიცხები — 545.650 ათას მანეთს, მოსახლეობის გადასახადები — 231.273 ათას მანეთს, სახელმწიფო სესხებიდან შემოსავლის ანარიცხები — 357.600 ათას მანეთს და სოციალური დაზღვევის სახსრების შემოსავალი — 137.354 ათას მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ბრუნვის გადასახადის ანარიცხების შემოსავალი გადაჭარბებით იქნა შესრულებული, სახალხო მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა გეგმები ვერ შეასრულა.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხორცის მრეწველობის საწარმოებმა წლიური საბიუჯეტო გეგმა ბრუნვის გადასახადში 91,5 პროცენტით შეასრულეს.

მნიშვნელოვანი თანხები დააკლო ბიუჯეტს ბრუნვის გადასახადის ანარიცხების სახით „გლავნეფტესბიტის" თბილისისა და ბათუმის სამმართველოების მოუქნელმა მუშაობამ. მათ ვერ უზრუნველყვეს ფართო მოხმარებისათვის გამოყოფილი ნავთპროდუქტების ფონდების ათვისება სავაჭრო ორგანიზაციების მიერ.

თბილისის მარგარინის ქარხანამ ბრუნვის გადასახადის გეგმა 1951 წელს 90,7 პროცენტით შეასრულა და ბიუჯეტს დააკლო 10.281 ათასი მანეთი. გასული წლის ბრუნვის გადასახადის გეგმა არ შეასრულა აგრეთვე საქართველოს ეთერზეთის ტრესტმა.

მრეწველობის საწარმოო დავალებების მნიშვნელოვანი გადაჭარბების შედეგად რესპუბლიკის ყველა სამრეწველო სამინისტრომ უზრუნველყო გეგმების გადაჭარბებით შესრულება. კარგ

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

# საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 [წლის] სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

### საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ქ. სოხაძის მოხსენება

მაჩვენებლებს მიაღწიეს კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა.

შარშან კვების მრეწველობის სამინისტრომ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 112 პროცენტით შეასრულა, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ—105 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 105,2 პროცენტით.

დასახელებულ სამინისტროთა საწარმოებმა თუმცა წარმოების გეგმა მრეწველობის ნატურალური პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეების მიხედვით შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა ვერ შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა ასორტიმენტის მიხედვით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1951 წელს მთლიანად შესრულებულია 101,9 პროცენტით, აქედან საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 101,7 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ქსელისა — 103,6 პროცენტით.

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებმა მოგების საერთო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ამის შედეგად ბიუჯეტმა დამატებით მიიღო 80.852 ათასი მანეთი.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის სამინისტრომ 1.248 ათასი მანეთით ვერ შეასრულა ბიუჯეტში მოგების ანარიცხების შეტანის გეგმა.

ასევე ვერ შეასრულა გეგმა გადასახლება-დასახლების სამმართველომ.

მიუხედავად იმისა, რომ დაგროვების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის შესრულებული, დაშვებულია უნაყოფო ხარჯები და დანაკარგები: კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში—17.989 ათასი მანეთი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში — 7.294 ათასი მანეთი, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში—2.529 ათასი მანეთი, ვაჭრობის სამინისტროს საწარმოებში — 6.737 ათასი მანეთი.

კვების მრეწველობის სამინისტროში შემავალი ტრესტების უმრავლესობამ გადაჭარბებით შეასრულა დაგროვების გეგმა, გარდა ტრესტ „საქკვებმშენისა“ და „ჩაიმშენმონტაჟისა“, რომლებმაც მშენებლობის გეგმა ვერ შეასრულეს და სამეურნეო საქმიანობის შედეგად ზარალი მიიღეს.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული შესადარი პროდუქციის თვითღირებულების 6,3 პროცენტით შემცირებისა, შეამცირეს 5,5 პროცენტით, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა თვითღირებულების შემცირების დავალება 5,3 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 2,2 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა და გეგმის ზევით მიიღეს 8.300 ათასი მანეთი მოგება. ამავე დროს ამ სამინისტროს საწარმოებში დაშვებულია უნაყოფო ხარჯები და დანაკარგები 7.294 ათასი მანეთის რაოდენობით.

თბილისის ბამბის ქარხანას, ბათუმის ტყავის ქარხანას, ქუთაისის შუშის ქარხანას და მთელ რიგ სამკერვალო საწარმოებს არ შეუსრულებიათ საქონლის გამოშვების სასორტიმენტო გეგმა.

სამრეწველო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება ვერ შეასრულეს ქეჩის, მეორე სამკერვალო და ფურნიტურის ფაბრიკებმა.

შესრულებულია საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, მაგრამ ცალკეული მნიშვნელოვანი საქონლის ასორტიმენტის გეგმა არ არის შესრულებული ტყავის №№ 2 და 3 ქარხნებში, №№ 1, 2 და 4 ფეხსაცმლის ფაბრიკებში და №№ 5 და 7 სამკერვალო ფაბრიკებში.

ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. სიხარულიძე) 1951 საანგარიშო წელი, ისე როგორც წინა წლები, არადამაკმაყოფილებელი საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლებით დაამთავრა. ამ ფაბრიკამ გამოუშვა მამაკაცის ქრომის ფეხსაცმელი 4.900 წყვილით ნაკლები და ქალის ქრომის ფეხსაცმელი 1.700 წყვილით ნაკლები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ფაბრიკის დირექციის უყაირათო მუშაობის შედეგად წუნდებული პროდუქციის გამოშვების, დიდი დანაკარგებისა და მნიშვნელოვანი რაოდენობით სხვა უნაყოფო ხარჯების დაშვებით, ნაცვლად შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების 0,8 პროცენტით შემცირებისა, დაშვებულია გაძვირება 3,1 პროცენტით და ამის შედეგად გაძვირებულია სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 706 ათასი მანეთით.

საჭიროა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ განსაკუთრებით შეისწავლოს ამ ფაბრიკის საქმიანობა და დაუყოვნებლივ გამოასწოროს არსებული ნაკლოვანებანი.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ამ სამინისტროს ქუთაისის შუშის ქარხანა (დირექტორი ამხ. შავგულიძე), რომელმაც ისევე როგორც 1950 წელს, გასული სამეურნეო წელი ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა. ქარხანამ ვერ შეასრულა მიცემული დავალებანი გეგმით გათვალისწინებული ძირითადი პროდუქციის გამოშვების დარგში.

როგორც ჩანს, ჩვენს მრეწველობაში, მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა, ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები, ცალკეული საწარმოების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავთან დაკავშირებით გასული წლის 6 ნოემბერს გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ „ცალკეული საწარმოები, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ რა გეგმას საერთო პროდუქციის მხრივ, ყოველთვის როდი ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების სახელმწიფო გეგმით დაწესებულ დავალებებს. ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს, როგორც ჩანს, სურთ შეიმსუბუქონ მუშაობა და ამზადებენ ისეთ ნაწარმს, რომელიც ნაკლებ გარჯასა და ზრუნვას მოითხოვს. დროა მათ შეიგნონ, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება გეგმის არა ყოველგვარი შესრულება და გადაჭარბებით შესრულება, არამედ მხოლოდ ისეთი შესრულება, რომელიც სახალხო მეურნეობას უზრუნველყოფს მისთვის საჭირო პროდუქციით“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ 1951 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ცუდი მაჩვენებლებით დამთავრება, რის შედეგადაც რაიონული სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების ნახევარზე მეტმა ვერ შეასრულა საქონლის საცალო ვაჭრობის ბრუნვის გეგმა.

საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა ჰქონდათ: ბოლნისის რაიკავშირს, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 85,9 პროცენტით, ასპინძის—88,4 პროცენტით, საგარეჯოს — 89,7 პროცენტით, გარდაბნის — 89,0 პროცენტით, კასპის — 93,8 პროცენტით, ყვარლის — 94,3 პროცენტით, წულუკიძის — —90,3 პროცენტით, ლანჩხუთის—93,3 პროცენტით, ცაგერის — 93,2 პროცენტით, წალენჯიხის — 90,4 პროცენტით, ხობის — 94,3 პროცენტით და ცხაკაიას — 94,2 პროცენტით.

სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელის მიერ დაშვებულია გეგმის ზევით საქონლის დანაკარგი 2.555 ათასი მანეთის ოდენობით. ჩამოწერილია ზარალში უიმედო დებიტორული დავალიანება 20.286 ათასი მანეთი, გადახდილია ჯარიმები და საურავი 4.530 ათასი მანეთი.

ყველა აღნიშნული გარემოების გამო სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემამ წლიური მოგების გეგმა მხოლოდ 81 პროცენტით შეასრულა, დაუშვა ზარალი 10.316 ათას მანეთის ოდენობით და დიდი თანხების გაფლანგვა-დატაცება. განსაკუთრებით დიდი გაფლანგვები იყო საგარეჯოს, თბილისის, დუშეთის, ამბროლაურის, ზუგდიდისა და წულუკიძის რაიკავშირებში და ცეკავშირის საბჭოთა მეურნეობის სექციაში.

ასეთი არადამაკმაყოფილებელი შედეგები სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ რაიკავშირების გამგეობები და სარევიზიო კომისიები ცუდად მუშაობენ, ხოლო ცეკავშირის გამგეობა არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მათს მუშაობას.

ზოგიერთ რაიაღმასკომს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკავშირები მიაჩნია არა ადგილობრივ, დამოუკიდებელ, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციად, არამედ ცეკავშირის „ფილიალად“.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა, განიდევნონ სისტემიდან არაკეთილსინდისიერი მუშაკები, სათანადო დონეზე იქნას აყვანილი ამ დარგის მუშაკთა კვალიფიკაცია, მათი ღირსების საქმედ გახდეს მშრომელთა მომსახურება, საქონელბრუნვის საცალო ვაჭრობის გეგმების აუცილებელი შესრულება.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით მთლიანად გადაჭარბებით არის შესრულებული საქონელბრუნვის გეგმა, დაგროვების გეგმის შესრულებას დააკლეს — ქუთაისვაჭრობამ 701 ათასი მანეთი, ბათუმის საზკვებტრესტმა — 705 ათასი მანეთი, ფოთვაჭრობამ—348 ათასი მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს სესიაზე აღინიშნა სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის მუშაობის ნაკლოვანებანი, ამ სისტემათა არტელები კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, მათმა უმრავლესობამ ვერ შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა ასორტიმენტის მიხედვით. კოოპერაციული არტელების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენების გამოყენებისათვის.

კოოპერაციის ზოგიერთ არტელში მოკალათებული არიან კერძო საქმოსნები, აღურიცხავია მოქალაქეთა დაკვეთები, ირღვევა გამოშვებული პროდუქციის სტანდარტი და გადიდებულია საქონლის გასაყიდი ფასები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებული სამუშაოების შემოსავლიდან ანარიცხები მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 8.450 ათასი მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ სახის შემოსავალს, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით გროვდება ნარჩენები.

საოლქო აღმასკომებმა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ თავიანთი ხელმძღვანელობა და კონტროლი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობისადმი.

დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობაში სახელმწიფო სესხების გავრცელებას. სახელმწიფო სესხები ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

საქართველოს მშრომელები ყოველთვის დიდი პატრიოტული ენთუზიაზმით ეგებებიან სახელმწიფო სესხის გამოშვებას და უზრუნველყოფენ ხელისმოწერის წარმატებას, რითაც გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას საბჭოთა მთავრობისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი **(ხანგრძლივი ტაში).**

მოსახლეობის გადასახადის ანარიცხები ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 231.273 ათასი მანეთი, რაც საერთო მოცულობის 8,3 პროცენტს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გადასახადის ხვედრითი წონა ბიუჯეტის საერთო შემოსავალში ძალიან მცირეა, მისი პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად დიდია, ამიტომ საჭიროა მისი უნაკლოდ გატარება.

თუმცა გასული წლის გადასახადთა ანარიცხების შემოსვლის გეგმა გადაჭარბებით იყო შესრულებული, მაგრამ მთელი რიგი საფინანსო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ზოგიერთ რაიონში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენები დაგროვდა.

მოსახლეობის 1951 წლის გადასახადის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის საქმეში ცუდად იმუშავეს ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გორის, გურჯაანის, კაჭრეთის, კასპის, ზუგდიდის, საგარეჯოსა და თეთრი წყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა და მათმა საფინანსო განყოფილებებმა.

ახალციხის, კაჭრეთის, თეთრი წყაროს და ზუგდიდის რაიონებში გადასახადის ნარჩენები წინა წელთან შედარებით გადიდდა.

1952 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სახელმწიფო დაზღვევის შემოსავლის ანარიცხები 10.280 ათასი მანეთის ოდენობით, რაც ძირითადად ხმარდება ხანძარსაწინააღმდეგო და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ვეტერინარულ ღონისძიებებს. ზოგიერთ რაიონში ამ გადასახდელთა გეგმები შეუსრულებელია.

ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა კონტროლი უნდა გაუწიონ საფინანსო ორგანოების მუშაობას, დაეხმარონ მათ და უზრუნველყონ მოსახლეობისაგან კუთვნილი გადასახადების თავის დროზე შემოსვლა ბიუჯეტში.

## საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი განსაზღვრულია 2.747.417 ათასი მანეთის მოცულობით, რაც 1951 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გასავალს 6,5 პროცენტით აღემატება, ხოლო ფაქტიურ შესრულებაზე მეტია 90.680 ათასი მანეთით. გასავლის საერთო მოცულობის 90,9 პროცენტი ხმარდება სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას.

სულ სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად მიმდინარე წელს ბიუჯეტიდან დაიხარჯება 808.904 ათასი მანეთი, რაც წინა წლის ხარჯებს 13,1 პროცენტით აღემატება; აქედან მრეწველობის დასაფინანსებლად დაიხარჯება 211.234 ათასი მანეთი.

სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან დაიხარჯება 321.174 ათასი მანეთი, ანუ გასული წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხასთან შედარებით 5 პროცენტით მეტი.

მიმდინარე წელს კომუნალური და საბინაო მეურნეობის დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯება 142.876 ათასი მანეთი.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1952 წლის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 1.689.932 ათასი მანეთი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება შარშან გაწეულ ხარჯებს. აქედან განათლების ღონისძიებებზე — 1.065.603 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე—446.968 ათასი მანეთი და სოციალური უზრუნველყოფის საჭიროებაზე—165.486 ათასი მანეთი.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვაზე დაიხარჯება 218.346 ათასი მანეთი.

კაპიტალურ დაბანდებაზე, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად დაიხარჯება 566.410 ათასი მანეთი; აქედან მრეწველობის საწარმოებზე—244.090 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე—190.844 ათასი მანეთი, საბინაო, კომუნალურ და საგზაო მშენებლობაზე—45.000 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობაზე — 43.621 ათასი მანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური მშენებლობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. მთელი რიგი სამინისტროებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებული არ არის მშენებლობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული სამშენებლო მექანიზმები, გაზრდილია ზედნადები ხარჯები და დიდი ოდენობით დაშვებულია სახსრების გადახარჯვა. ამასთან პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში ვხვდებით ზედმეტობას.

სამშენებლო ტრესტებმა — „საქმშენმა“ და „თბილისმშენმა“ ვერ შეასრულეს კაპიტალური მშენებლობის გეგმები, ტრესტ „საქმშენის“ 1951 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით დაშვებულია 7.750 ათასი მანეთი ზარალი.

ტრესტმა „თბილისმშენმა“, ნაცვლად 1951 წელს გეგმით გათვალისწინებულ 2.316 ათასი მანეთის მოგებისა, საანგარიშო წელი 10.645 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა.

კაპიტალური მშენებლობის გასული წლის გეგმა ვერ შეასრულეს აგრეთვე ტექნიკური კულტურების სამინისტროს სამშენებლო ტრესტმა „ტექკულტმშენმა“ და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტმა „წყალმშენმა“.

განსაკუთრებით ცუდად მუშაობს გადასახლება-დასახლების სამმართველოს სამშენებლო ტრესტი, რომელმაც კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა 73,7 პროცენტით შეასრულა, დაუშვა გადახარჯვა და, ნაცვლად 910 ათასი მანეთი მოგებისა, 1951 წელი 655 ათასი მანეთის ზარალით დაასრულა.

არადამაკმაყოფილებელი შედეგებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი კვების მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტმა „საქკვებმშენმა“.

საჭიროა აღნიშნული სამინისტროების ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ მათდამი დაქვემდებარებული სამშენებლო ტრესტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, დაწვრილებით შეისწავლონ ზარალის წარმოშობის მიზეზები, აღკვეთონ ყოველგვარი გადახარჯვა, არ დაუშვან საქმროს პერსონალის ხარჯზე სამმართველო აპარატის შენახვა და უზრუნველყონ კაპიტალურ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალების და მოგების გეგმების აუცილებლივ შესრულება.

ბიუჯეტის საგრძნობი სახსრები იხარჯება ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის. მიმდინარე წელს კაპიტალურ მშენებლობაზე კომუნალური მეურნეობის ხაზით დაიხარჯება 30.100 ათასი მანეთი, აქედან ქალაქ თბილისში 17.800 ათასი მანეთი.

საბინაო მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობაზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 8.600 ათასი მანეთი, აქედან ქალაქ თბილისში—6.100 ათასი მანეთი.

კომუნალური მეურნეობის ობიექტების კეთილმოწყობასა და კაპიტალურ რემონტზე მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 27.730 ათასი მანეთი, ხოლო მათ შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე—48.260 ათასი მანეთი.

დიდი ყურადღება ექცევა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობასა და კეთილმოწყობას. მიმდინარე წელს ამ მიმართულებით მხოლოდ ბიუჯეტი გაიღებს 59.490 ათას მანეთს, რაც 7.850 ათასი მანეთით აღემატება გასული წლის დანახარჯებს.

სახალხო განათლების დარგში 1952 წლის ბიუჯეტით, როგორც აღვნიშნეთ, ასიგნებულია 1.065.603 ათასი მანეთი, ანუ 24.525 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს დაიხარჯა.

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების შენახვაზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 579.633 ათასი მანეთი, რაც 1951 წელს დახარჯულ თანხას 16.359 ათასი მანეთით აღემატება.

კადრების მომზადებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯება 283.289 ათასი მანეთი, მათ შორის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შენახვაზე, სადაც 29.904 კაცი ისწავლის,—163.286 ათასი მანეთი.

ამჟამად საქართველოში 19 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სწავლობს 25 ათასზე მეტი სტუდენტი და ასწავლის 2.500-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია 51 სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას აერთიანებს. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში 900-ზე მეტი მეცნიერი მუშაკია, აქედან 110 დოქტორი და 400-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი.

რესპუბლიკაში არსებულ 4.274 დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლაში მიმდინარე წელს 704 ათასი მოსწავლე იქნება.

დიდი ყურადღება ექცევა ბავშვების სკოლამდელი აღზრდის საქმეს. ამჟამად მოქმედებს 383 საბავშვო ბაღი 17.500 ბავშვისათვის. მიმდინარე წელს 49 საბავშვო სახლის შენახვაზე 31.345 ათასი მანეთი დაიხარჯება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სახსრებია გათვალისწინებული მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის სწავლებისათვის, რაზედაც მიმდინარე წელს ასიგნებულია 13.531 ათასი მანეთი.

პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის ღონისძიებებზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 47.440 ათასი მანეთი, აქედან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაზით — 41.072 ათასი მანეთი.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით დასახულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის კიდევ უფრო მეტად გაშლა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს განათლების ღონისძიებებზე დამტკიცებული ხარჯებიდან აუთვისებელი დარჩა 9.503 ათასი მანეთი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გასულ წელს კაპიტალურ მშენებლობაზე ასიგნებული 1.655 ათასი მანეთიდან დახარჯა მხოლოდ 943 ათასი მანეთი, ხოლო ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ინსტიტუტის მშენებლობაზე გამოყოფილი 800 ათასი მანეთიდან — 480 ათასი მანეთი.

განათლების ღონისძიებებზე ასიგნებული თანხები ვერ აითვისეს სიღნაღის, ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთის, კასპის, ყვარლისა და ქლუხორის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქალაქ თბილისში.

განათლების ადგილობრივი ორგანოები ხშირად უშვებენ ხელფასზე არასწორ დარიცხვებს, ამის შედეგად უკანონოდ გაცემულია მნიშვნელოვანი თანხები. ასეთი შემთხვევები იყო ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, მარნეულის, საჩხერისა და ადიგენის რაიონებში.

პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის სამმართველოს საწარმოების მუშაობის გასაუმჯობესებლად ბიუჯეტიდან გაიცემა 2.523 ათასი მანეთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული სამმართველო და მისი წიგნით ვაჭრობის გაერთიანება „საქწიგნი“ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

პარტია და ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენენ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების გამომცემლობათა უკეთ დაყენებისა და წიგნის გაიაფებისათვის. სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით 1952 წლის 1 აპრილიდან შემოღებულია წიგნის ერთიანი ფასი, რითაც ჩვენი პოლიგრაფიული მრეწველობის წიგნის პროდუქციის საგასაცემო ღირებულება შემცირებულია 30-35 პროცენტით. ამან საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს და ხელი შეუწყოს წიგნის რეალიზაციის დაჩქარებას. საჭიროა რესპუბლიკის გამომცემლობებმა გამოუშვან იდეურად მისაღები და მაღალი ხარისხის წიგნები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ცალკეულ გამომცემლობათა მიერ გამოცემული წიგნები როგორც შინაარსით, ისე გაფორმების მხრივ უვარგისია და ამიტომ არ იყიდება.

სამმართველოს ხელმძღვანელობამ გადაჭრით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა, უზრუნველყოს ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულება, აღკვეთოს დანაკარგები, ქონებისა და ფულადი სახსრების დატაცების ფაქტები. ამავე დროს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა დახმარება უნდა გაუწიონ წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებს, ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ მოსახლეობაში შინაარსისა და გაფორმების მხრივ კარგი ხარისხის წიგნის პროდუქციას და მიაღწიონ საქონლის ბრუნვის დაჩქარებას.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დასაფინანსებლად 1952 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 44.101 ათასი მანეთი, რაც ერთიორად აღემატება 1940 წლის დონეს. ასეთი დიდი რაოდენობით დანახარჯები თეატრებსა და მუსიკალურ კოლექტივებს უქმნის საჭირო მატერიალურ ბაზას, რათა მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობა, აამაღლონ და გაამდიდრონ რეპერტუარი და მიაღწიონ როგორც საწარმოო, ისე საფინანსო გეგმების აუცილებლად შესრულებას.

თბილისის მარჯანიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა ვერ შეასრულა ახალი დადგმების გეგმები. მაყურებელთა მიზიდვის გეგმა ვერ შეასრულეს სტალინირის, ბათუმის, თელავის, სიღნაღის, ხულოს, ფოთისა და ახალციხის თეატრებმა, რომლებმაც გასული სამეურნეო წელი გეგმის ზევით ზარალით დაამთავრეს.

საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივების მუშაობას, მათი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას, ახალი და ხარისხიანი დადგმების გეგმის შესრულებას, აღკვეთონ უკანონო ხარჯები და რენტაბელური გახადონ თითეული თეატრისა და მუსიკალური კოლექტივის მუშაობა.

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად განსაზღვრულია 446.968 ათასი მანეთი. გასულ წელთან შედარებით ასიგნობანი ამ დარგში იზრდება 11.306 ათასი მანეთით.

დიდი ასიგნობებია გათვალისწინებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების შენახვისათვის. თუ ამ ხარჯების დასაფარავად გასულ წელს გათვალისწინებული იყო 390.368 ათასი მანეთი, მიმდინარე წელს ამ დანიშნულებით დაიხარჯება 402.099 ათასი მანეთი.

საბავშვო ბაგებისა და საბავშვო სახლებისათვის გათვალისწინებულია 35.018 ათასი მანეთი.

მიმდინარე წ[ლ]ის სამკურნალო დაწესებულებათა საწოლების რაოდენობა ქალაქ ადგილებში დიდდება 600 და სოფელ ადგილებში 252-ით. ბავშვთა სანატორიუმებში საწოლთა რიცხვი აყვანილ იქნება 1.670-მდე, ნაცვლად 1.115 საწოლისა 1951 წელში.

მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული მიმდინარე წელს სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, მათი კაპიტალური რემონტისა და კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე სამეურნეო და სპეციალური ინვენტარისა და დანადგარების შეძენისათვის.

ჯანმრთელობის ხაზით კაპიტალური მშენებლობის ობიექტებზე წელს დაბანდდება 5.338 ათასი მანეთი, აქედან სოფლის საავადმყოფოების მშენებლობაზე — 1.964 ათასი მანეთი.

რესპუბლიკაში იმოქმედებს ქალაქისა და სოფლის საავადმყოფოები 18.600 საწოლით, ხოლო საბავშვო ბაგებში საწოლთა რიცხვი 13.406 მიაღწევს.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის გასავალში 18 მილიონ მანეთზე მეტია დაგეგმილი საქართველოს კურორტების საჭიროებისათვის, აქედან კაპიტალური რემონტისათვის 5 მილიონი მანეთი.

გასულ წელს აუთვისებელი დარჩა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები 14.185 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც შედეგია კვებისათვის გათვალისწინებული სახსრების გამოუყენებლობისა და მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებებში კაპიტალური რემონტის გეგმით გათვალისწინებული ვადების შეუსრულებლობით.

ჩოხატაურის, წულუკიძის, მცხეთის, ყაზბეგისა და ახალქალაქის რაიონებში, მიუხედავად არსებული მოთხოვნილებისა, დატვირთული არ არის საბავშვო ბაგები. წლიური დატვირთვა იქ არ აღემატება 82-97 დღეს. კიდევ უფრო ნაკლები დატვირთვით მუშაობენ ვანის, თეთრიწყაროსა და ხობის რაიონებში მოქმედი საბავშვო ბაგები.

მაშინ როცა ქალაქებში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის სიჭარბეა,—სოფლად მთელ რიგ შემთხვევებში დაუკომპლექტებელია სამკურნალო დაწესებულებანი სათანადო სპეციალისტებით, რასაც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

სოფლად საავადმყოფოების მშენებლობისათვის გათვალისწინებული ასიგნობანი გასულ წელს ათვისებული იყო მხოლოდ 89,6 პროცენტით.

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომები საკმარის კონტროლს არ უწევენ ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების და მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების მუშაობას, არ ისმენენ მათი მუშაობის ანგარიშს და იშვიათად იხილავენ თავიანთ სხდომებზე სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით მიცემულ დავალებათა შესრულებას ამ დარგში.

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 8.813 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1951 წლის გეგმით იყო გათვალისწინებული.

1952 წლის მანძილზე სოცუზრუნველყოფის ორგანოები მომსახურებას გაუწევენ 78.067 შრომის, ომის ინვალიდსა და პერსონალურ პენსიონერს.

ფიზკულტურის ღონისძიებებზე 1952 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 11.875 ათასი მანეთის დახარჯვა. მიმდინარე წელს განზრახულია გორისა და ქუთაისის ახალი სტადიონების მშენებლობის დამთავრება.

## სარევიზიო-საკონტროლო მუშაობა

როგორც მოხსენებული იყო, რესპუბლიკის 1952 წლის ბიუჯეტით დიდი თანხებია გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის ღონისძიებათა დასაფინანსებლად, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შესანახავად და მშენებლობის ხარჯების დასაფარავად.

ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მიზანშეწონილად, მკაცრი მომჭირნეობითა და უდიდესი ეფექტიანობით გამოყენების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროსა და საფინანსო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის კ. სოხაძის მოხსენების დასასრული

ორგანოების მიერ 1951 წელს გამოვლინებულ იქნა სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა-დატაცების, თანხების უკანონო ხარჯვისა და საბიუჯეტო და საშტატო დისციპლინის დარღვევის მრავალი ფაქტი. ასეთი ფაქტების ჯერ კიდევ არსებობა მოწმობს იმას, რომ სამინისტროები და უწყებები საკმაო კონტროლს ვერ უწევენ სახელმწიფო სახსრების დაცვას და წესიერად ხარჯვას; მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ყურადღება მიექცა სამინისტროებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ საუწყებო კონტროლის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას, ამ დარგში ჩატარებული ღონისძიებები არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა ხელმძღვანელების უყურადღებობისა და სათანადო საფინანსო ორგანოების მხრივ არასაკმაო კონტროლის შედეგად 1951 წელს ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის თანხების გადახარჯვას.

გეგმით გაუთვალისწინებელი მშენებლობისათვის, ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად თანხები გაცემული იყო ტყიბულის და ორჯონიკიძის რაიაღმასკომების განათლებისა და ჯანმრთელობის განყოფილებებში; კაპიტალურ მშენებლობაზე სათანადო ნებართვის გარეშე, უკანონოდ დახარჯული იყო მახარაძის რაიაღმასკომის მიერ 2 მილიონამდე მანეთი, ბოლნისის რაიაღმასკომის მიერ — 170 ათასი მანეთი, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის მიერ — 50 ათასი მანეთი; დიდი თანხებია უკანონოდ დახარჯული სტადიონების მშენებლობაზე მახარაძისა და ლაგოდეხის რაიონებში; უკანონოდ დახარჯეს მსხვილი თანხები გეგმით გაუთვალისწინებელი ობელისკების, სტენდებისა და სხვათა მშენებლობაზე ზუგდიდის, აბაშის, გურჯაანის, ჩხოროწყუს, დუშეთის, მარნეულის, ლაგოდეხის, ლანჩხუთისა და მთელმა რიგმა სხვა რაიაღმასკომებმა.

გასულ წელს უკანონოდ მიეცა დოტაცია აჭარის ასსრ თეატრებს 228 ათასი მანეთი და მუსიკალურ დაწესებულებებს 151 ათასი მანეთი, სტალინირის სახელმწიფო დრამატულ თეატრს 171 ათასი მანეთი და მუსიკალურ დაწესებულებებს 112 ათასი მანეთი, თელავის სახელმწიფო თეატრს 81 ათასი მანეთი და მუსიკალურ კოლექტივს 42,0 ათასი მანეთი, ასეთივე უკანონო ხარჯებია გაწეული ახალციხის, მახარაძის, ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიაღმასკომების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე 1951 წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების საკითხს, ეს საქმე ბევრ საბიუჯეტო დაწესებულებაში და განსაკუთრებით რაიაღმასკომების განყოფილებებში ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის.

1951 წელს აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე მოწესრიგებული არ იყო ახმეტის, წალენჯიხის, გორის, ზესტაფონის, დმანისის რაიაღმასკომების განყოფილებებში და მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში.

სამინისტროების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები თავიანთ შინასაუწყებო რევიზორთა შემადგენლობას არ ავალებენ აამაღლონ წარმოებული რევიზიების ხარისხი. ხშირად დოკუმენტალური რევიზიების ნაცვლად ტარდება ზერელე ხასიათის შემოწმება, რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებებში და ორგანიზაციებში სახელმწიფო სახსრების მითვისებისა და გაფლანგვის სავსებით გამოვლინებას.

დამნაშავე პირთა წინააღმდეგ არ იღებდნენ ჩადენილი დანაშაულის შესაფერის მკაცრ ზომებს, იყო აგრეთვე არასახელმწიფოებრივი მიდგომის შემთხვევები.

უზრუნველყოფილი არ არის ქვემდებარე დაწესებულებებსა, საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში დოკუმენტალური რევიზიის ყოველწლიურად ჩატარება.

1951 წლის განმავლობაში შინასაუწყებო კონტროლს რევიზია არ ჩაუტარებია: მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 18 ორგანიზაციაში, სატყეო მრეწველობის სამინისტროს — 12, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს — 23, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის — 12, განათლების სამინისტროს — 63 ორგანიზაციაში.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელ რიგ კომუნალურ საწარმოებში უკანასკნელ 3 წელში შინასაუწყებო კონტროლის წესით სრულიად არ ჩატარებულა რევიზია. ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებისადმი დაქვემდებარებული 163 დაწესებულებიდან რევიზია ჩატარებულია მხოლოდ 24 დაწესებულებაში, განათლების განყოფილებისადმი დაქვემდებარებული 263 დაწესებულებიდან იმავე პერიოდში რევიზია ჩატარებულია მხოლოდ 18 დაწესებულებაში.

სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს სამმართველო აპარატის გამარტივებისათვის, უშვებენ შტატების ზედმეტობას, ხელფასის განაკვეთებისა და სამმართველო ხარჯების უკანონოდ გადიდებას.

ასეთი დარღვევები იყო ტექნიკური კულტურების სამინისტროში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოში, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტში და ხელოვნების საქმეთა სამმართველოში.

დიდი ლენინის მოწაფე, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია გვასწავლის, რომ „ყოველთვის და ყველგან, ყოველ საქმეში, დიდსა თუ მცირეში, ყოველი ადამიანი ყველაფერზე მაღლა უნდა აყენებდეს სახელმწიფო ინტერესებს, იყოს ფხიზელი და იდგეს თავისი სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, უსასტიკესად იცავდეს ჩვენს სახელმწიფო დისციპლინას, იჩენდეს შემოქმედებითს ინიციატივას კომუნისტურ მშენებლობაში და შეგნებული ჰქონდეს თავისი პრაქტიკული საქმიანობის ყოველი ნაბიჯის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა".

საჭიროა საქართველოს სსრ სამინისტროებმა და ცენტრალურმა დაწესებულებებმა, აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასკომებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომმა, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გადაჭრით გარდაქმნან შინასაუწყებო კონტროლის მუშაობა, გააძლიერონ ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ქვემდებარე ორგანიზაციების საქმიანობისადმი და დაამყარონ სასტიკი სახელმწიფოებრივი წესრიგი სოციალისტური საკუთრებისა და ქონების საიმედოდ დაცვის საქმეში, აღმოფხვრან გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები, აღკვეთონ საბიუჯეტო სახსრების უკანონო ხარჯვის შემთხვევები და უმოკლეს ვადაში მოაწესრიგონ ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა 1952 წელს გადაჭრით უნდა გააძლიერონ კონტროლი და განახორციელონ ღონისძიებები სახელმწიფო სახსრების დაცვის უზრუნველსაყოფად, გაფლანგვა-დატაცების, სახსრების უკანონოდ ხარჯვისა და საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით უპასუხებს იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დგას. საჭიროა მიღებულ იქნას ყველა ზომები იმისათვის, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა და საჭირო ფულადი სახსრებით უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის გეგმით დასახული ყველა ღონისძიების დაფინანსება და მკაცრად გავატაროთ მომჭირნეობის რეჟიმი სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც წმიდად ინახავენ დიად სტალინურ ტრადიციებს და ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ აღზრდილი არიან ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და გაძლიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ ქართველი ხალხი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და მიმდინარე წელი აღნიშნოს ახალი გამარჯვებებით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ისევე როგორც ყოველთვის, საქართველოს მშრომელები, დარაზმულნი დიადი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, არ დაზოგავენ თავიანთ ენერგიას, დაუღალავად იმუშავებენ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელობით განუხრელად შეასრულებენ დიდი სტალინის ყველა მითითებას.

მიმდინარე წელს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში გეგმების გადაჭარბებით შესრულებით ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ხალხების ძმურ ოჯახში გაერთიანებული, შესაფერ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, რომელსაც წინამძღოლობს და გენიალურად წარმართავს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი, ხალხთა საყვარელი ბელადი, მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან**).

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 4 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 4 აპრილს გამოაქვეყნა ცნობა:

ფრონტის ყველა უბანზე წარმოებდა საარტილერიო სროლა და მოქმედებდნენ მზვერავი რაზმები.

აღმოსავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგემ ძლიერი საარტილერიო ცეცხლის საფარით რამდენჯერმე მოიტანა იერიში სახალხო არმიის ჯარების პოზიციებზე, მაგრამ ზარალი ნახა და უკუქცეულ იქნა.

დღეს სახალხო არმიის ავიაციამ და საზენიტო არტილერიის ნაწილებმა მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

## ამერიკელი ინტერვენტები კვლავ საშინელ დანაშაულს სჩადიან კორეაში

**პეკინი**. 4 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 2 აპრილს კორეის ფრონტიდან გადმოგვცა:

11-დან 21 მარტამდე ამერიკელმა ინტერვენტებმა, უგულებელყვეს რა მთელი მსოფლიოს ხალხთა სამართლიანი და მტკიცე პროტესტები, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგში და ფრონტზე, აგრეთვე პანმინჯონის ნეიტრალური ზონის მიდამოებში გაავრცელეს ბაქტერიებიანი მრავალი მწერი.

11 მარტს მტრის თვითმფრინავმა სუნჩხონში ჩამოყარა ობობები, ბუზები, სილის ბუზები და სხვა მწერები. იმავე დღეს მტრის ორმა ავიაგამანადგურებელმა „ რ-51" ტორგვონში ჩამოყარა ბაქტერიებიანი ყვითელი ფოთლები.

12 მარტს მტრის თვითმფრინავმა ძისუს რკინიგზის სადგურის რაიონში იანდოკის მახლობლად ჩამოყარა ბაქტერიოლოგიური ბომბები; ბომბების აფეთქების ადგილას აღმოჩენილ იქნა ბევრი ჭიანჭველა, ხოჭო და სხვა მწერი. იმავე დღის მტრის ორმა ავიაგამანადგურებელმა „რ-51" სიბიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით იონმდონზე გადაფრენის დროს ჩამოყარა ბაქტერიებიანი მჭადები, რომელიც ჰაერში დაიფშვნა და დიდ სივრცეზე გაიფანტა. მეორე დღეს ამ რაიონში იპოვნეს 4 მკვდარი ფრინველი.

14 მარტს მტრის თვითმფრინავებმა კისონის ოასავლეთითა და ჩრდილოეთით, იჩხონის აღმოსავლეთით და პანმინჯონისა და სუანის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაავრცელეს ბაქტერიებიანი ბუზები, რწყილები, ობობები, კალიები, ხის ფოთლები, ქათმის ბუმბული და სხვ. ამავე დღეს მტრის 5 ავიაგამანადგურებელმა სიბიონის აღმოსავლეთით ჩამოყარა 20-ზე მეტი ბაქტერიოლოგიური ბომბი.

15 მარტს მტრის თვითმფრინავმა კეპუნის რაიონში ჩამოყარა ბაქტერიებიანი მრავალი ბუზი. კესონის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩენილ იქნა ბაქტერიებიანი მწერები, რომლებიც მტრის არტილერიის ყუმბარებით გაავრცელეს ან მტრის თვითმფრინავებიდან ჩამოყარეს.

16 მარტს მტრის ერთმა ავიაგამანადგურებელმა კოქსანის დასავლეთით ჩამოყარა ბამბის ტომრები, რომლებშიც აღმოჩნდა ვირთაგვები და ვირთაგვის ექსკრემენტები. მტრის ორმა ავიაგამანადგურებელმა „რ-51" ნამჩხონჯომის ჩრდილო-აღმოსავლეთით გაფრენისას ჩამოყარა მრავალი ბაქტერიებიანი ბაყაყი. კოქსანის სამხრეთით აღმოჩენილ იქნა ამერიკის თვითმფრინავთა მიერ ჩამოყრილი მატლები.

17 მარტს მტრის თვითმფრინავმა ფხენიანის ჩრდილოეთით და სუკჩხონის სამხრეთით ჩამოყარა პეპლები, ჭიანჭველები და სხვა მწერები.

18 მარტს მტრის ერთმა თვითმფრინავმა სინანჯუში ჩამოყარა 9 ბაქტერიოლოგიური ბომბი. მეორე დღეს დაბომბილ რაიონებში აღმოჩენილ იქნა ბევრი ბუზი, ფუტკარი და ობობა. მტრის თვითმფრინავებმა ვონსანის დასავლეთით ჩამოყარეს აგრეთვე ბაქტერიებიანი ბამბითა და ბაქტერიებიანი მწერებით სავსე ქაღალდის კოლოფები.

19 მარტს მტრის თვითმფრინავმა მუნჩანში ჩამოყარა ბაქტერიებიანი ფოთლები.

20 მარტს მტრის თვითმფრინავმა სუანში ჩამოყარა ბაქტერიებიანი ფოთლები.

21 მარტს პეიოქსანის რაიონში აღმოჩენილ იქნა რწყილის მსგავსი წითელი ფერის მწერები.

# ბულგარეთსა და ალბანეთს შორის ხელმოწერილ იქნა სავაჭრო შეთანხმება

**სოფია**, 4 აპრილი. (საკდესი). სოფიაში ხელი მოაწერეს ბულგარეთისა და ალბანეთის შეთანხმებას 1952 წლისათვის საქონელგაცვლისა და ურთიერთ გადასახდელთა შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის საქონელგაცვლის მნიშვნელოვნად გადიდებას.

ამავე დროს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

# საბჭოთა მთავრობის დელეგაცია და სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციები უნგრეთში

**ბუდაპეშტი**, 4 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა და სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების ხელმძღვანელებმა, რომლებიც უნგრეთში ჩამოვიდნენ საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მე-7 წლისთავის დღესასწაულზე, გუშინ ინახულეს უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი მატიას რაკოში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე შანდორ რონაი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იშტვან დობი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გუშინ საზეიმო სადილი გაუმართა უნგრეთში დღესასწაულზე ჩამოსულ მთავრობათა დელეგაციებს.

სადილზე იყვნენ: საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის მარშალ კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების წევრები. უნგრეთის მხრივ სადილზე იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იშტვან დობი, უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი მატიას რაკოში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ერნე გერე, უნგრეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და უნგრეთის მთავრობის წევრები.

# უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხზე ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფისადმი

## ამერიკის შეერთებული შტატები

**ნიუ-იორკი**, 2 აპრილი. (საკდესი). ამერიკული პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს ოთხ კითხვაზე, რომლებიც მას ამერიკული გაზეთებისა და რადიომაუწყებლობის გამომცემელთა და რედაქტორთა ჯგუფმა მისცა.

გაზეთები „ნიუ-იორკ პოსტი" და „უორლდ ტელეგრამ ენდ სანი" პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ბეჭდავენ ცნობებს და განსაკუთრებით გამოჰყოფენ ი. ბ. სტალინის პასუხს იმის შესახებ, რომ მესამე მსოფლიო ომი ახლა უფრო ახლო არ არის, ვიდრე ორი-სამი წლის წინათ იყო.

ვაშინგტონის პრესაც დიდ ყურადღებას აქცევს ი. ბ. სტალინის პასუხებს. ვაშინგტონის გაზეთი „სტარი" ცნობაში დიდი სათაურით წერს: „სტალინი ეუბნება რედაქტორებს, რომ ომი ახლა უფრო ახლო არ არის, ვიდრე სამი წლის წინათ იყო. ამერიკელთა ჯგუფისადმი მიმართვაში ნათქვამია, რომ კომუნიზმსა და კაპიტალიზმს თანაარსებობა შეუძლიათ".

ვაშინგტონის გაზეთებმა „ნიუსმა" და „ტაიმს-ჰერალდმა" პირველ გვერდზე დაბეჭდეს სტატიები ანალოგიური სათაურებით.

**ნიუ-იორკი**, 2 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" პირველ გვერდზე სათაურით „სტალინს არ მიაჩნია, რომ ომის საფრთხე გაიზარდა — წერილში ამერიკელი რედაქტორებისადმი იგი მოუწოდებს გერმანიის გაერთიანებისაკენ, მსოფლიოს ლიდერთა შეხვედრისაკენ",—ბეჭდავს დაწვრილებითს ცნობას ამერიკელ რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის შესახებ.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" სათაურით „სტალინი აცხადებს, რომ ომი უფრო ახლოს არ არის, ვიდრე 2 ან 3 წლის წინათ იყო", ბეჭდავს ამხანაგ სტალინის პასუხის სრულ ტექსტს.

გაზეთი „დეილი ნიუსი" (გამოდის ნიუ-იორკში) ბეჭდავს დიდ სათაურს: „სტალინი დეპეშაში რედაქტორებისადმი აღნიშნავს, რომ მესამე მსოფლიო ომი ახლა უფრო ახლოს არ არის", „დეილი მირორი" — „სტალინი კვლავ უარყოფს, რომ ომი გარდუვალია".

**ნიუ-იორკი**, 3 აპრილი. (საკდესი) გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" მიმომხილველი უოლტერ ლიპმანი კომენტარს უკეთებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფისადმი და წერს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია დადებითი პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ახლანდელი მომენტი შესაფერისი გერმანიის გაერთიანებისათვის.

ძნელი წარმოსადგენია, აღნიშნავს შემდეგ ლიპმანი, რანაირად მოახერხებენ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები თავი აარიდონ გერმანიის საკითხის საფუძვლიან გადაწყვეტას საბჭოთა კავშირის 10 მარტის წინადადებათა შემდეგ.

## ინგლისი

**ლონდონი**, 2 აპრილი. (საკდესი). ლონდონის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა ცნობა ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხების შესახებ ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის მიერ მიცემულ ოთხ კითხვაზე.

გაზეთი „დეილი ექსპრესი" თავის ცნობას შემდეგი სიტყვებით იწყებს: „სტალინმა დღეს მსოფლიოს აცნობა, რომ იგი ვერ ხედავს მესამე მსოფლიო ომის უშუალო პერსპექტივას". შემდეგ მოყვანილია კითხვებისა და პასუხების ტექსტი.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა" თვალსაჩინო ადგილი დაუთმო ორ სვეტზე პასუხებს სათაურით: „სტალინი უცხადებს შეერთებულ შტატებს, რომ ომი „უფრო ახლოს არ არის".

„ტაიმსმა" დაბეჭდა რეიტერის სააგენტოს ანგარიში სათაურით: „ბ-ნი სტალინი აცხადებს, რომ ომი არ არის უფრო ახლოს. დეპეშა ამერიკულ გაზეთების რედაქტორებისადმი".

პრეს ასოშიეიშენის სააგენტო იუწყება, რომ პარლამენტის წევრი ლეიბორისტი ნორმან დოდსი 7 აპრილს თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს მისცემს შემდეგ კითხვას: „სტალინის განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ, მისი აზრით, დიდ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ვითარების ლაბილურობის შენელებას, რა აქვს განზრახული პრემიერ-მინისტრს გააკეთოს თავის მხრივ იმისათვის, რომ უზრუნველყოს ეს შეხვედრა უახლოეს მომავალში".

## საფრანგეთი

**პარიზი**, 2 აპრილი. (საკდესი). პარიზის უკლებლივ ყველა დილის გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდა ამხანაგ სტალინის პასუხი ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე.

გაზეთი „იუმანიტე" პირველ გვერდზე ბეჭდავს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტს და მსხვილი შრიფტით გამოჰყოფს მისი პასუხების ტექსტს.

„სტალინი ადასტურებს კაპიტალისტური და კომუნისტური სამყაროების თანაარსებობის შესაძლებლობას" — ასეთი სათაურით ბეჭდავს პირველ გვერდზე სტალინის პასუხებს გაზეთი „ლიბერასიონი".

გაზეთი „ფრან-ტირერი" გამოჰყოფს ი. ბ. სტალინის პასუხებს იმის შესახებ, რომ დიდ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრას შესაძლებელია სარგებლობა მოეტანა და რომ ახლანდელი მომენტი შესაფერისია გერმანიის გაერთიანებისათვის.

გაზეთი „პოპულერ დე პარი" მთლიანად ბეჭდავს პირველი გვერდის ზემო ადგილას ამხანაგ სტალინის პასუხს ამერიკელი ჟურნალისტებისადმი და გამოჰყოფს პასუხებს კაპიტალიზმისა და კომუნიზმის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ და დიდ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის შესახებ.

გაზეთ „სე მატენ-ლე პეიზი" ამხანაგ სტალინის პასუხი დაბეჭდილია სათაურით: „სტალინი: ომის საფრთხე არ გაზრდილა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში".

გაზეთმა „პარიზიენ ლიბერემ" ამხანაგ სტალინის პასუხი გამოაქვეყნა სათაურით: „სტალინი აცხადებს, რომ ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრა, შესაძლებელია, სარგებლობას მოიტანდა".

## ავსტრია

**ვენა**, 2 აპრილი. (საკდესი). ამხანაგ სტალინის პასუხი ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე დღეს ვენის მთელი პრესის ყურადღების ცენტრშია.

ყველა გაზეთი აქვეყნებს პასუხის სრულ ტექსტს ან მის დაწვრილებითს შინაარსს, რომელიც დასავლეთის სააგენტოებმა გადასცეს. გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე" სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს: „სტალინი: მშვიდობიანი თანაარსებობა სავსებით შესაძლებელია. წინაპირობები: მზადყოფნა შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი და დავიცვათ თანასწორობისა და ჩაურევლობის პრინციპი".

## ბელგია

**ბრიუსელი**, 2 აპრილი. (საკდესი). ბელგიის გაზეთების უმეტესობა დაწვრილებითს ცნობას ათავსებს ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე ამხანაგ სტალინის პასუხის შესახებ. გაზეთმა „დრაპო რუჟმა" მსხვილი შრიფტით დაბეჭდა ამხანაგ სტალინის პასუხის სრული ტექსტი.

## კანადა

**ოტავა**, 2 აპრილი. (საკდესი). გაზეთებმა „ჯორნელმა" და „სიტიზენმა" უკომენტაროდ გამოაქვეყნეს ამერიკის გაზეთების ვრცელი ცნობები და დაბეჭდეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის კითხვებზე.

## ჰოლანდია

**ჰააგა**, 3 აპრილი. (საკდესი). ჰოლანდიის ყველა გაზეთმა მოათავსა ამერიკული გაზეთების რედაქტორთა შეკითხვებზე ი. ბ. სტალინის პასუხის სრული ტექსტი.

## შვეცია

**სტოკჰოლმი**, 2 აპრილი. (საკდესი). შვეციის ყველა გაზეთი დღეს თვალსაჩინო ადგილას და დიდი სათაურებით აქვეყნებს ი. ბ. სტალინის პასუხს ამერიკელი რედაქტორების ჯგუფის კითხვებზე. გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი" პირველ გვერდზე სათაურში წერს: „სტალინი: ომის საფრთხე არ გაზრდილა".

გაზეთი „ნიუ დაგი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავის პასუხში ი. ბ. სტალინი გვიჩვენებს გზას მშვიდობისაკენ, იგი აცხადებს, რომ ურთიერთგაგებისა და მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების მნიშვნელოვანი წინასწარი პირობაა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

გაზეთი „არბეტარტიდნინგენი" აღნიშნავს, რომ ი. ბ. სტალინი კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმისა და კომუნიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა. გაზეთი განსაკუთრებით გამოჰყოფს ი. ბ. სტალინის განცხადებას იმის შესახებ, რომ ომი გარდუვალი არ არის.

# ქალთა საკავშირო პირველობა ჭადრაკში

4 აპრილს [illegible] ტურში გამოტოვებული [illegible] იყო მსოფლიო ჩემპიონ [illegible] ლენინგრადელ ლ. ვოლპერტის შეხვედრა. ლ. ვოლპერტა, რომელიც შავებით თამაშობდა, ენერგიული მანევრებით აძლიერებდა შეტევას თეთრების მეფის წინააღმდეგ, მაგრამ კრიზისულ მომენტში მან დაკარგა მხედარი და მალე პარტიაც დათმო.

ტ. ფილანოვსკაიამ კარგად ითამაშა ბ. ვაისბერგის მეფის ცენტრში დარჩენით და გამარჯვებას მიაღწია. ს. როოტარემ ლ. კოგანთან გადადებული პარტიის გაგრძელებისას ზუსტად ითამაშა პაიკთა ენდშპილი და 51-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ხუთ საათს გრძელდებოდა თ. სტრანდსტრემ-ე. ბიკოვას პარტია, რომელიც კვლავ გადადებულია საყაიმო მდგომარეობაში.

ათი ტურის შემდეგ ესტონელ ს. როოტარეს აქვს 6½ ქულა და ერთი გადადებული პარტია, ო. რუბცოვას — 6½ ქულა, ლ. რუდენკოს — 6 და ერთი გადადებული.

# სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა

**თელავი**, (საქ. კორ.). თელავის რაიონის კულტურის სახლში გაიხსნა ამავე სახლთან არსებულ წრეებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც 165 ექსპონატს შეიცავს. გამოფენაზე წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების ექსპონატებს შორის არის როგორც ფერწერის, ისე ფანქრით ნახატის ნიმუშები. ყურადღებას იქცევენ ვ. გოძიაშვილის ნამუშევარი „თელავის კეთილმოწყობა", გ. თორაძის — „რთველი კახეთში" და „ძველი თელავის ერთი კუთხე", მასწავლებელ ვ. დათუკიშვილის ჩანახატი „ლოპოტის მარმარილოს კარიერები", ს. ასლანოვის — „ქართველი მანდილოსანი", „ყურძნის ჩხა" და „ძველი თელავი", აგრეთვე ხელოსან ა. ალიკიანის მიერ შესრულებული სააგიტაციო პლაკატები.

სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა უკვე 5.000-ზე მეტმა მშრომელმა ნახა.

# ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 7 აპრილს, 4-30 საათზე, მაუდის ფაბრიკის კლუბში (ბრძოლის ქ. № 130) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორ დ. ენუქიძის საჯარო ლექციას თემაზე: „**სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ**".

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტი.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ინდოეთის ელჩი ბ-ნი ს. რადხაკრიშნანი.

საინფორმაციო ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 5 აპრილის სხდომის შესახებ.

**მეორე გვერდი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის კ. სოხაძის მოხსენება საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

**მესამე გვერდი** — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის კ. სოხაძის მოხსენების დასასრული.

უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხზე ამერიკული გაზეთების რედაქტორთა ჯგუფისადმი.

საბჭოთა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვიტა კუბის მთავრობასთან.

**მეოთხე გვერდი** — საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე. უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

**(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)**

**7 აპრილს**

06.25 — საცეკვაოები გლინკას ოპერა „რუსლან და ლუდმილადან". 07.30 — ჰაიდნის და მოცარტის ნაწარმოებები. 09.20 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები. 11.10 — კამერულ-საინსტრუმენტო მუსიკის კონცერტი. 17.15—ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — გადმოცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — შალვა მშველიძის მეორე სიმფონია, საქართველოს რადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით. 19.15—პოპულარული მუსიკის კონცერტი. 20.30 — ქალაქის ქსელით — ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის გაგუჩაძის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით გადმოცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 21.00 — ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელთა დასახმარებლად — „ვ. ი. ლენინის შრომა „სახელმწიფო და რევოლუცია". 21.30 — კონცერტი აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. 22.30 — ლიტერატურული გადაცემა. 23.05 — საოპერო მუსიკის კონცერტი.

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ევგენი ონეგინი (დილით), მთების გული (მე-2 აბ. ვ. ჩაბუკიანის მონაწილეობით საღამოს); **რუსთაველის სახელობის** — ნ. ბარათაშვილი (დილით), პირველი ნაბიჯი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი (დილით), მარინე (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი (დილით), ძია ვანო (საღამოს 50-ე, 51-ე აბ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში); **სომხური დრამის** — მასკარადი (დილას და საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — როზ-მარი (დილით), ტრემბიტა (მე-14 აბ. საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მშვიდობის მტრედები (38-ე აბ. 12 ს.), კიკვიძე (მე-14 აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—ქორწინება (11 და 7 ს.), თეთრად მოჩანს იფრა ფული (3 ს.); **თოჯინების ქართული** — ჭაბუკი და მტრედი (11 ს.), ნანა ტყეში (1½ ს.), ბაკი-ბუკი (3 ს.); **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

მოქალაქე მისაკ ხაჩატურის-ძე შეხიკიანმა, მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 13, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **როზა დარჩის ასულ შეხიკიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

მოქალაქე მამედ მუხტარის-ძე ახმედოვმა, მცხოვრებმა ფაბრიკის შესახ. № 12, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ხარია აბას ასულ ალესკეროვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ფაცია, შვილები დოდო, თეიმურაზ, და ალექსანდრა, დისწული ნიკოლოზ ქართველიშვილი იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის **ივანე მიხეილის-ძე კარგარეთელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-IV, 8 ს. გამოსვენება 8-IV, 5½ ს. ლერმონტოვის, 29.

მეუღლე ლიდა, შვილები თამარ, თეიმურაზ, და მარიამ, რძალი დოდო, შვილიშვილები ნანული, ზეინაბ, ძმისწულები ეთერ, მარგარიტა იუწყებიან **დავით სიმონის-ძე ალიბეგაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-IV, 8 ს. გამოსვენება 8-IV, 6 ს. პეტრიაშვილის შესახ. 3.

მშობლები სურათი, გიორგი, მეუღლე თამარ, შვილები ნანული, ჯონდო იუწყებიან **შალვა გიორგის-ძე ალფაიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-IV, 2 ს. ნიაღვრის, 6. დაკრძალვა 8-IV სოფ. ფერეთში (ვანის რაიონი).

ილია, კოტე, შალვა, მარო, თამარ და შოთა ქადაგიშვილები ოჯახებით იუწყებიან ძმისწულისა და ბიძაშვილის **არჩილ ალექსის-ძე ქადაგიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-IV, 4 ს. თელავის, 4.

დები ელენე, მარო, კიტო, ძმისწული სამსონ, რძალი ბაბი შვილით ქუთათელაძეები, დისწულები თამარ, ვლადიმერ, გიორგი დოლიძეები იუწყებიან **ანა სამსონის ასულ ქუთათელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV წულუკიძეში, გამოსვენება კაგანოვიჩის, 29.

მეუღლე ნატალია, შვილები პელაგია, ბაბუცა, სონია კუხალეიშვილები, სიძე პ. ლოგუა, შვილიშვილები როზა, თამარ, ნორა, გიორგი, გურამ იუწყებიან **მიხეილ სოლომონის-ძე კუხალეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რაიონი).

მეუღლე საშა, შვილები იულია, რუსუდან, ოთარ, ეთერ, რძალი ლამარა შვილით, ძმები ილია, ჰიჯიკო, გახა, სიდედრი ვასასი, ცოლისძმა ა. არზიანი ოჯახებით იუწყებიან **სამსონ გუთუს-ძე ფარცვანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV ცხაკაიაში.

დედა მაშო, მეუღლე სერაფიმა, ძმა გიორგი ფორჩხიძეები, დები მარო, სოფიო, ცაბუ, თინა, მარგარიტა, სიძეები ვ. მიქაძე, ი. ჯავაშვილი, ფ. გაფრინდაშვილი იუწყებიან **დიმიტრი ლუკას-ძე ფორჩხიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-IV, 8 ს. გამოსვენება 8-IV, 5 ს. პლეხანოვის, 150.

შვილები ალექსანდრე, დავით, ვასო, მარიამ, თამარ ოჯახებით, რძლები მუსია, ნადია, ნატაშა, სიძეები გ. კაციტაძე, ი. გიგინეიშვილი იუწყებიან **ნინო ალექსის ასულ გუგუშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-IV, 7 ს. გამოსვენება 8-IV, 6 ს. გოგოლის, 40.

თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია, პარტორგანიზაცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყებიან **ანა სამსონის ასულ ხუბუტიას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უ.იფა- ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მოროგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00188